

პარლა ურუშავი

„რიჩარდ მასამა“

ქოტე

მარჯანიშვილის

თეატრიში

1956-1957 წნ. სეზონში კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ვასო ყუშიტაშვილი დგას „უილიამ შექსპირის „რიჩარდ III“-ს. „დიდი ტერიტორის“ ყველაზე მძაფრ წლებში და მათ შემდეგაც ეს პიესა არ დადგმულა საბჭოთა თეატრის სცენზე. რიჩარდის ქმედებებში ძნელად მოინახებოდა ოფიციალური იდეოლოგიისა და ისტორიის გასამყარებელი რამე მოტივი. იგი არც „ქვეყნის გამართობის უძლეველი“ იყო, როგორც იოანე მოისხანე და არც „ქვეყნის განმასლებელი“ უსასტივესი შეტრეპრეველის შესასახლებელი. მისი სიმამაცე. მისი მამაკაცური მოშინევლელობა, მისი ინტელექტუალური უპირატესობა ვერ „დაწრდილავდა“ მისი ბურების ქვეშარიტ კრიმინალურ არსა. ბოროტმოქმედების გზით ტანტზე ასულს, მას ძალშედ არასასურველი ასოციაციები შეეძლო გამოწევა მაყურებელში... ეს კი მთლიანად ენინალმდეგებოდა შექსპირის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

„შექსპირი უნდა შედიოდეს ჩევნს გულებში, როგორც სინათლის მომღერალი, როგორც ასის მაუწყებელი, როგორც ალორძნინების მსახურავი, რომლის ბოლომდე ასსა და გაგება შესძლო მხოლოდ ყველა დროისა და ხალხის ქვეშარიტმა ალორძნინებამ — დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ!“

ასე გაიაჩრებოდა დიდი ინგლისელი დრამატურგის „მარადი თანადროულობა“ 1957 წელს, უურნალ „ტაქტიზმის“-ის მონინავე სტატიაში, რომლის ანონიმურობაში მილიონთა სუნთქვა უნდა შეეგრძნო შექსპირის უკვდავობის მიმართ იგივე პათოსით გამსჭვალულ მცითხველს.

... და მიუხედავად ამისა, პოლიტიკურად „არაკეთილსამედო“ პიესა ისევ უპრუნდება სცენას...

ქვეყნაში „დათბობა“ დაიწყო... იგი დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ ამ პერიოდის ხანმოკლე „სითბოში“ მრავალმა აქამდე გამოუთმელმა ჩრდობა და ფიქრმა, ბარონ მიუნიპაუზენის საყირში გაყინულ ბერებივით, ხმა შეიძინა და აქამდე

წარმოუდგენელი სითამამით სააშეარაოშე გამოიინტენსიური ინიციატივის მანქანის მიერთებით ფაქტურად აიგივებს ერთმანეთთან საბჭოურსა და ფაშისტურ რეჟიმებს; ბორის პასტერნაკი ასრულებს თავისი მრავალი წლის ჩანაფიქრს — „დოქტრინა უკვაგოს“, რომანს, რომელშიაც რევოლუციური ქარტეხილი ნაწევნებია ჩვეული რომანტიკის გარეშე, როგორც ყველას და ყოველის მიმართ დაუნდობელი სტიქიური ძალა...

ინყება ადამიანთა „დღნა“ გულაგებიდან. ანა ახმატოვა ასე შეაფახებს ამ პროცესის ქვეყნის „მორალისათვის“ დამნგრეველ შედეგებს: „მაღლორი ქვეყნა გაუსწორებს ერთმანეთს თვალს — ის, რომელიც ციხეებსა და საკონცენტრაციო პანაკებში იყო ჩამწყდეული და ის, რომელიც ციხეებსა და ბანაკებში ამწყდევდა...“ საბოლოო ჯამში კი, იქმნება ახალი, ისევ უნიკალური „სამოთხის“ მოდელი, მოდელი ქვეყნისა, სადაც „მგელმა“ და „კრავმა“ ერთად უნდა ძოვონ, სადაც ჯალათი დაუსჯელი რჩება, ხოლო მსხვერპლი — უთემელი, და მათ ისევ და ისევ, ერთად უნდა „აშენინ“ ქვეყნის მომავალი.

ულრემესი შინაგანი ტრაგიზმით ალბერტდილმა ამ დრომ თავისი სცადრისი ასახვა ვერ პოვა და ვერც იპოვიდა იმდროინდელი თეატრის, ხელისულიერით, გაშლილ სცენზე. მწერლებსა და პოეტებს „მაგიდის უჯრაში“ წერა მაინც შეეძლოთ. სცენზე კი მხოლოდ ნებადართული პიესები იდგმებოდა. თუმცა, აქაც ზოგიერთი რამ შეიცვალა. დრამატურგებს მოსთხოვეს თავიანთ ნანარმოებებში კომუნიზმის მშენებელი, მისისშემდგომი ახალი გნერაციის ნარმომადეგენელთა ასახვა, და ამ პატარა „დათბობა“, მაყურებლისათვის საბედნიეროდ. სცენას ვეტერი რომილვის მიამიტი, სულით წმინდა, მექანობის წინააღმდეგ მებრძოლი ბიჭები და მარიკა ბარათაშვილის „ჭრიჭინა“ მარინეს მსგავსი ცელები, მაგრამ გულით სპეციალი, გოგონები მოავლენა. მართალია, კედლებიდან მათ გმირი პაპების რევოლუციური, რომანტიკით გასხვისნებული სახეები უზრიდნენ, მაგრამ თვითონ ისინი ხომ უკვე არაფერს ანგრევდნენ, არავის უთვალთვალებდნენ და თავიანთი წმინდა ახალგაზისებული პრობლემები ისევე გულთან ახლოს მოპქონდათ, როგორც „პაპების“ მიერ მათხე დამყარებული იმედება.

რეალურ სინამდვილეშიც სწორედ ასეობთ ახალგაზრდებმა მოახერხეს მოსკოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრთან არსებული სტუდიის საფუძველზე ჭეშმარიტი თანამოაზრეთა თეატრის შექმნა. თავის პირშის მათ თეატრის-სტუდია „სოკრემენი“ უწოდეს. ამასთანავე, თავიანთ მანიურესტში ხზგასმით აღნიშნავდნენ, რომ „თეატრი-სტუდია“, განავითარებს რა საბჭოთა სცენის მიერ

უკვე მოძიებულ იდეურ და მხატვრულ ტრადიციებს, მათ საფუძველში შექმნის საზოგადოებრივად აქტიურ ხელოვნებას და მიზნად დაისახავს პარტიული პოზიციებიდან დაიმკვიდროს კომუნისტური მორალი, სრულად გამოხატოს საპქოთა საზოგადოების ყველაზე მოწინავე წარმომადგენლების, უპირველეს ყოვლისა – ახალგზრდების – ფიქრები და მისწრაფებები". სავესპირ დასაშვებია, რომ, ეს მანიფესტი თეატრის დაარსების დღეებში სრული გულნრფელობით იქმნებოდა. მაგრამ უკვე „დათბობის“ მიწურულში დადგმულმა ევგენი შეარცის „შექველმა მეფებმ“ ცხადყო, რომ თავისულებას ნაგემი (მცირე დოზითაც კი) ახალი თაობის ხელახლად მორჯულება არცთუ ისე იოლი საქმეა... ამ თითქოსდა მსუბუქ, არაჩვეულებრივად მშიარულ და ცელქ სპექტაკლში ჩამაღლები ირონია ერთი-ერთი პირველი გამოვლინება იყო იმ უნიკალური თეატრალური „თვალთმაქცობისა“, რომელსაც შემდგომში ჩვენ უნდა უმაღლოდეთ „ფრონდის“ სულით განმსჭვალული ისეთი შედევრების შემნას, როგორც იყო რობერტ სტურუს „ყვარყვარე“ და „რიჩარდ III“, იური ლუბიმოვის „პამლეტი“...

სამწუხაროდ, გასული ათწლეულების პოლიტიკური სითამამის მეტნავლებად ზუსტი „დობირება“ და შეფასება მხოლოდ თანამედროვეთა პრეროგატივაა. მხოლოდ თვითმხილველისთვისაა სრულად გასაგები ის პრი, რომელიც ჩამოვილი იყო ლუბიმოვის „პამლეტის“ ფარდში, მის, საიდუმლობით ალავსე, ღრმა ნაოჭებში... ანდა რიჩარდისა და რიჩმინდის მასნავლებლობა – მონაფეობაში, ამ სრულად მოულოდნელ „ტანდემში“, რომლის შესაძლებლობა რ. სტურუს პირველმა ამოიკითხა შესპირის ტრაგედიის ტექსტში. დრო რეცხავს და აფერმერთალებს ამ სპექტავლების ოდესალაც ხასხასა და მრავლისმთემელ სიმბოლიკას. და შეიძლება ისეთი ხანაც დადგეს, როდესაც მთელი ჩვენი მჭერმეტყველება და აღტაცებული ყიუინა უწენე აღმოჩნდეს ბოლომდე მიახვედროს სხვა დროში აღწირდილ თაობას ოდესალაც თამამი და სახიფათო ალტენიების ჭეშმარიტი არსი და მიშვნელობა... მაგრამ ეს მხოლოდ მოგონებებით მოგრილი ლირიული გადახვევა...

დე, შორს, იქით იყოს ეს კიდევ სათუო ჰერსპექტივა! მით უმეტეს, რომ მას არაფერი ესაქმება 50-იანი წლების ბოლო მესამედთან, და,

მითუმეტეს, კოტე მარჯანიშვილის სახელმისნო თეატრის მიერ დადგმულ „რიჩარდ III-თან, რომელიც მთელი თავისი პირუშში შინაარსის მიუხდავდ, მაინც „ოპტიმისტურ ტრაგედიად“ იყო აღიარებული. „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი ძნელი...“. რამდენ რეცნიზიამი წავაწყდებით ჩვენ ამ რუსთაველისეულ აფორიზმს.²

იგი მართლაც ზუსტად მიესადაგებოდა სპექტაკლის ფინასს, სადაც სოფიტების შექმნით გასხვისისნებული რიჩმინდი – იყობ ტრიპოლიკი – გამარჯვებული სიკეთის ცოცხალ განსახიერებად მოევლინებოდა მაყურებელს.

ამ გამარჯვებულ სიკეთეს, ამ „აისის მაუწყებლობას“ მარჯანიშვილელთ „რიჩარდ III-ს არა ერთხელ შეუქებენ მოცკვეში გამართულ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადზეც...“

1958 წლის დეკადა... სხვადასხვა ეროვნების ხალხთა შორის მეგობრობის იდეის თვალსაჩინო მანიფესტაცია. გავა რამდენიმე ათწლეული და ესეც ნამიერად გაერება, ქარს გაყვება ჩამქრალი კოცონის ფერული ვით... მაგრამ ახალა, ამ 1958 წლის მარტში, ამას ვერ ნარმობენდა ვერცერთ მხატვრის ფანტაზია, რაოდენ უკიდეგანოც არ უნდა ყოფილყო იგი. დეკადა ზემობს – მთელი თავისი ოფიციალური პომპეზურობით და წმინდა ადმიანური გულწრფელობით და ბედნიერებით. ყველანი აქ არიან... თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, ნინო რამიშვილისა და ილიუ სუ-

ხიშვილის ხალეური ცეკვის ანსამბლი... რუსთაველის თეატრი თავისი ჭარმაგი უფროსი თაობით... თეატრის ახალგზრდობაც აქ არის, თავის ლიდერთან, მიხეილ თუმანიშვილთან ერთად. „მისი და მისი თანამოაზრების მიზანი, – ნერს დალი მუმლაძე იყო შეემნათ რუსთაველის თეატრის ახალი ტიპი, სინამდვილის ასახვის თვისობრივად ახალი მიღებობის მეშვეობით, რომელსაც ამ თეატრში გრძელებათა გამოხატვის ადრინდელი გამოცდილებისაგან განსხვავებით, განცდების უაღრესი სიმართლე უნდა მოეტანა და დაეჭვიდორებინა“.³

დეკადზე მ. თუმანიშვილის ორი სპექტაკლია ნარმობენილი: ლ. ქაჩიელის „ტარიელ გულუა“ და ჯ. ფლეტჩერის „ესპანელი მლადელუა“. გარდა ამისა, სადეკადო რეპერტუარშია: სოფორულს „ონდიპოს მეფე“ (დ. ალექსიძის დადგმა), გ. ქელბაძინის „ახალგაზრდა მასნავლებელი“ (ა. დვალიშვილის დადგმა) და ვ. ვიწევეკის „ოპტიმისტური



სცენა სპექტავლიდან
„რიჩარდ III“



ტრაგედია” (რეჟისორი ა. ჩხარტიშვილი).

კოტე მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრის მექ ნაჩევნების სპექტაკლების ნუსხაც ზუსტად გამოხატავდა ასეთი სახის ღონისძიებებზეც წარმოისადგენი მხატვრული მასალის წინასარგამოწმილ „მრავალფეროვნებას“: ჩვენს წინაშეა ქვეყნის სარეპერტუარო პოლიტიკურის მასალის წინასარგამოწმილ „მრავალფეროვნებას“. ჩვენს წინაშეა ქვეყნის სარეპერტუარო პოლიტიკურის მასალის წინასარგამოწმილ „მრავალფეროვნებას“. ჩვენს წინაშეა ქვეყნის სარეპერტუარო პოლიტიკურის მასალის წინასარგამოწმილ „მრავალფეროვნებას“: ჩვენს წინაშეა ქვეყნის სარეპერტუარო პოლიტიკურის მასალის წინასარგამოწმილ „მრავალფეროვნებას“.

ასეთი სახის ღონისძიებების გამოხატვების მიხედვის მიხედვის მიხედვის მიხედვის მიხედვის „გადაბეჭირდება“ (გ. ლორთქებურის დადგმა); ლ. გოთიას რუსი და ქართველი ხალხის საუკუნოვანი ერთობის დამადასტურებელი, პიესა „გზავარედინი“ („მეცე ერეკლე“) (რეჟ. კ. ტაბლიაშვილი); მსოფლიო დრამატურგიული კლასიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში, უ. შექსპირის „რიჩარდ III“ და დროის ახალი სულისკვეთების გამოხატვებილი ახალგაზრდა დრამატურგის მ. ბარათაშვილის პიესა „მარინე“ (რეჟ. ა. ჩხარტიშვილი), რომელიც თეატრის ისტორიოგრაფიების განსაზღვრით „კომედიის საშუალებით ახალგაზრდა დადებითი გმირის ფორმირების მეტად სერიოზულ საყითხს განიხილავდა“... ყველაფერი ეს თეატრის მხრიდან არც კომპრომისი იყო და არც საკუთარი იდეალების ტრაგიული დამორბა. ამ პერიოდის თეატრები, მით უმეტეს აკადემიური თეატრები, საბჭოვალო საბჭოებითა და იდეოლოგიური დაგენილებებით საქამიან მოთვარიერებულ მსატვრულ ორგანიზმებს წარმოადგენდნენ. „დათბობით“ გაღვიძებული „ჯინი“ თავის უხევისას უახლოეს ათწლეულების დისიდენტურ მოძრაობასა და პოლიტიკური ალტინებით აღსავსე კლასიკური პიესების დადგმების მომქინევა. ჯირჯვარობით კი XX ეროვნის მხილებით გაონებულ ადამიანებს მაღლობის მეტი არაფერი ეთმით. მოუთმენლად ელიან უდანაშაულო ახლობების რეაბილიტაციას და მათი სიკვდილის „ტოლოვას“ ფულად კომენსაციებსაც დებულობენ... ქვეყანა თავისუფლების ეიფორიითა შეყვრობილი. ანა ახმატოვაც კი აღფრთოვენებით აცხადებდა: „მე ხრუშჩივის თაყვანის მცუდებელი ვარ“ (ნ - ტბრ ნ 11 ეპ.). დღესაც მის უახლოეს მეყობარს, ისიდ მანდილეშტამს უთქვამს: „შემოქმედება ეს, უპირველეს ყოველისა შედარებაა.“ ეს პრინციპი რეალური ცხოვრების აკარგინობის დაგენაშიც საალიად ზუსტად მოქმედებს. წინა ათწლეულებითან შედარებით საბჭოთა კაშირში ეხლა ისეთი „სამოთხისეული სიჩუმე“ ჩამოვარდა, იმდენად ღრმა და უშფოთველი, რომ იგი ვერც დაგმიტილი ტირინის ძეგლთან, მისი გარდაცვალების დღეს მისული ხალხის დახვრტამ და ვერც, ცოტა მოგვანებით, ნოვოკუნძულის მაღაროების მუშების სისხლიანმა დარბევამ შეატყოვა...

ადამიანის მექ საკუთარი ინიციატივის გამოვლენის ფარგლებს კი ისევ უხილავი „სადავები“ განსაზღვრავდნენ, მოკლე, ძალიშე მოკლე მანძი-

ლშე მოშევებული... მაგრამ მრავალი ხელოვანი სთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ უფრო ფართოდ, უფრო მეტით გამოეხატა თავისი შემოქმედებითი და ადამიანური რაობა.

საესტი დასაშევებია, რომ სწორედ ვასო გომიაშვილმა და ვასო უშიშრიაშვილმა შესთავბზეს თეატრის ხელმძღვანელობას თეატრის რეპერტუარისათვის აუცილებელ „კლასიკურ პიესად“ 1956-1957 წლების სეზონში „რიჩარდ III“ აერჩია.

ვასო გომიაშვილისათვის რიჩარდის როლი მისი მრავალი წლის სანუკვარი იცნება იყო,⁵ ხოლო ვასო უშიშრიაშვილისათვის – თავისებური „გადაბეჭირი“ შარლ დიულენთან, რომელიც პარიზში მათი თანამშრომლობის პერიოდში დიდი მონდომებით მუშაობდა ამ პიესის დადგმაზე, რომელშიაც მთავარი როლი თავად უნდა შეესრულებინა.

დეკადაზე წარმატება ხვდა მარჯანიშვილელთა ყველა სპექტაკლს, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ დაიკვეთის ისეთ სრულ და გულწრფელ აღიარებას, როგორიც „რიჩარდ III“-ს ეროვნობა, ამის დასტურია სპექტაკლის გარშემო არსებული კრიტიკული წერილები და მის საჯარო განხილვაზე გამოიტანული ჩნდები და შთაგებდილებები. ის თეატრმცოდნებიც კი, რომელთა გამოძახილი დეკადის რიგ სხვა სპექტაკლზე სკომად მერთალი და ერთგულოვანია, მარჯანიშვილის თეატრის „რიჩარდ III“ შესახებ მსჯელობისას, ლამის შექსპირული ენით იწყებნ სპექტაკლისა და მისი მთავარი შემსრულებლის ხოტბას. ზოგიერთი რეცენზენტის წერილში კი უახლოესი წარსულის თეატრალური კრიტიკისათვის სრულიად მიღებელ განზიგადოებებს ვაწყდებით, სწორედ იმ სახის გაზიგადოებებს, რომელთა შიშით „რიჩარდი“ ორი ათწლეულის გამარცლობაში საერთოდ არ უდრიდა საბჭოთა თეატრის სცენზიზე (და თუ არსებობდა, მხოლოდ ვ. კაჩალოვისა და მ. ასტანგოვის მიერ გათამაშებული საკონცერტო ნაწყვეტის სახით...)

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყავონთ ციტატა კრიტიკების ვ. სეჩინის სტატიიდან: ხაზს უსვამს რა ვ. გომიაშვილის რიჩარდის ზიზღასა და უნდობლობას სხვა ადამიანების მიბართ, იგი დასძენს – „და ყველაზე საშინელი ის არის, რომ რიჩარდი თითქოს და მართალია ამში, მართლაც, ნებისო თუ უნებლიერ, შიშის, სისუსტის, სიხარის გამო თუ დიდებისა და პატივისათვის, – ყველანი – მეტეთი დაწყებული და დაქირავებული მევლელებით დამთავრებული, ასე თუ ისე, მაინც ეხმარებიან მას მიაღწიოს სანაცელებს“⁶.

იგივე აზრს გამოიტვას წატალია კრიმოვა: „რიჩარდის გარემოცვა მართლაც იძლევა საფუძველს მისეული ფილოსოფიასათვის. ისინი განცალევებული არიან, შიშით შეპერობილნი, ცხოვრობენ გაუთავებელი ქიშიობასა და მტრობის ატმოსფეროში, საპუარაზე გამოაქვთ თავისი მანივერებანი და, საბოლოოდ „ტარტიულუს“ შო-



რის ყველაზე ცბიერისა და სახიფათოს ხელში ვა-
რდებიან და მის მორჩილ მარიონეტებად იქცე-
კან...”

თითქმის იგივე არა ერთხელ თქმულა შემდგო-
მში რობერტ სტურეუს „რიჩარდის“ შესახებ, რო-
მელშიაც პოლიტიკური ანალოგიები ძალიერ აშკა-
რად იყიდებოდა, როგორც რ. ჩხივეაძის მიერ
განსახიერებულ გმირში, ასევე მთელს მის გარე-
მოცავი, ყოველი მოქმედი პირის იერსახესა და
ქცევაში.

შეიძლება ითქვას, რომ ვასო გოძავშვილისა და
ვასო ყუშიტაშვილის „რიჩარდ III“-ც თავისებუ-
რად პოლიტიკური სპექტაკლი იყო. საბჭოთ კა-
ვშირის მასშტაბებში ეს იყო შექსპირის ტრაგი-
კული მსალის საფუძველშე შექმნილი პირველი
სპექტაკული, რომელსაც მართლაც გააჩნდა თანამე-
დროვეობასთან შეხების კონკრეტული წერტი-
ლები. რეაქისორისა და მსახიობის მრავალი წლის
ნანატრი იცნების აღსრულება ბედნიერად და-
ემთხვა პირვენების კულტის მხილების ყველაზე
აქტიურ პერიოდს, რომელიც აღნიშნა გარდა-
ცვლილ დიქტატორის მიერ ძალაუფლების უზუ-
რაციისა და მრავალი წლის განმავლიბაში
ერთიანოვნული მმართველობის ფართო „საჯარო
გაუცხვით“. ახალ ვითარებაში რიჩარდის სახემ
მოულოდნერი აქტიულობა შეიძინა და საშიშ თე-
მას ვეტო მოეხსნა. შეიძლება ამითაც აისხნას თე-
ატრიმოდნების სითამაცე და ამ სითამამის მი-
მართ ოფიციალური ცენზურის ტრალერანტობაც.

და ისევ ნ. კრიმოვა: „მე პირველად ვხედავ
შექსპირის „რიჩარდს“ სცენაზე. ახალი ძალით წა-
რმოსდგა დიდი პიესა, და ისევ ნათელი გახდა,
თუ რა შესაძლებლობებს შეიცავს დრამატული
ხელოვნება, როდესაც ბრწყინვალე მსახიობს საქმე
აქს სრულყოფილ პიესასთან და არსებობს რეუ-
სურა. არქაული ტრადიციებით შეუბოჭავი, თავი-
სუფალი და თამამი“.⁸

გარეგნულად კი ამ სპექტაკლში არაფერი ალ-
ძრავდა პირდაპირ ასოციაციებს თანმედროვე-
ობასთან ან უახლოეს წარსულთან. კრიტიკოსებს არაერთხელ შეუნიშნავთ, რომ იმსებ სუმბათშვი-
ლის სცენოგრაფია და კოსტიუმები სრულ შესა-
ტყივისობაშია რიჩარდის ეპოქასთან, რომ სპექტა-
კლში ჭეშმარიტი შექსპირული სული ნავარდობს. ეს სპექტაკლი მართლაც ლირსშესანიშნავი იყო
უპირველესად იმით, რომ მასში „ბრწყინვალე მსა-
ხიობს“ საქმე პერიდა „სრულყოფილ პიესასთან“,
იმით რომ ყოველ წარმოდგენზე მაყურებელი
ხდებოდა მონმე იმ უშვიათესი მოვლენისა, რო-
დესაც მის წინაშე იქმნებოდა, იძერნებოდა რაღაც
სრულიად ახალი, განუშეორებელი, ის რაც მსა-
ხიობსა და მისი გმირის სახელს თეატრის ისტო-
რიაში მარად განუყოფელს ხდის.

საბჭოთა სცენის პირველ რიჩარდზე, რომე-
ლსაც ალექსანდრე სუმბათშეილი-იუსტინი ანსახი-
ერგიდა (მოსკოვის მცირე თეატრი 1920) აღ. ია-
ბლოჩკინა წერდა: „მიუხედავად მისი სულმდა-

ბლობისა, მასში მაინც იგრძნობოდა რაღაც საცე-
ადე“... 6. მონახოვის რიჩარდიც (ლინინგრადის
დიდი დრამატული თეატრი, 1935 წ.) იძღნად მა-
სშტაბური პირვენება იყო, რომ მის გვერდით
ყველა მისი მეტოქე უშენებად მოსჩანდა.

ვასო გოძავშვილის რიჩარდს სიდიადე არ გა-
აჩნდა. შაშში არც საუთარი სიმახინჯის გამო
ოდესაც განცდილი ტანჯვა იგრძნობოდა. მისი
პირველი „თვითმამხილებელი“ მონოლოგი სა-
ერთოდ ამოღებული იყო პირველი სცენის ტე-
ქსტის თეატრალური ვარიანტიდან. იგი თითქმის
სცენზიევე „იძადებოდა“ – უკვე შემდგარი, დაცვე-
ნილი, სიმახინჯის კომპლექსისაგან თავისუფალი,
სრულად შეიარაღებული და დაცული თავისი ცი-
ნიზმით, ზიზლით მთელი სამყაროს მიმართ, და-
ცული თავისი სიმახინჯითაც კი... პირველ სცე-
ნაში მისი მუქი ფერის ჩატანულობა მთლიანად შე-
რწყმული იყო ფარდის შავ ფერთან. გარკვევით
მხოლოდ სახე მოსჩანდა, არა ბურებრივად თეთრი
სახე, ბოროტი ირონით დაღმტეტილი...

ტექსტში მთელი რიგი აქცენტების გაძლი-
ერებით, სპექტაკლის საერთო კომპოზიციური
წყობით რეაქისორი აძლევდა მსახიობს შეუზღუდავ
შესაძლებლობას ერთპირვნულად დაუფლებობდა
მაყურებების ყურადღებას და ყოველ სცენაში წა-
რმოედგინა შექსპირის გმრის მართლაც რომ
არაადამიანური მზავრობის უტყუარი და ამო-
მწურავი მტკიცება.

პავლე მარკოვმა ამ სპექტაკლს „მარჯვანიშვილი-
სეული“ უწოდა. ცნობილმა რუსმა თეატრმცოდნებში
შეიძლება არც კი იცოდა, რამდენად ახლო იყო
ჭეშმარიტებასთან ეს მისი განსაზღვრა, და რა-
ოდენ რეალური იყო კოტე მარჯვანიშვილის „მო-
ნაწილეობა“ ამ სპექტაკლის შექმნაში.

ვასო ყუშიტაშვილისათვის შთაგონების ერთ-
ერთ წყაროს პიესის საცენო ვარიანტის შემუშა-
ვებისას სწორედ კ. მარჯვანიშვილის „მონტაჟი“ წა-
რმოადგენდა⁹ – ბროკაზუზ-ეფრონის გამოცემის
შექსპირული ტომის ფურცლებზე რეაქისორის ხე-
ლით აღნიშნული კუპიურები და გადაადგილება-
ნი. ინხება კ. მარჯვანიშვილის სახელობის თეატ-
რის მუზეუმში¹⁰.

პიესის ორივე სამონტაჟო ვარიანტის შედარე-
ბისას, მათ შორის სხვაობისა და მსგავსების და-
დებულისას საყმაოდ ნათლად იყიდება ის იდეურ-
მსატვრული ამოცანები, რომელსაც ისახავდა თა-
თოვეული რეაქისორი „რიჩარდ III“ გასცენიურებაზე
მუშაობის პროცესში. კოტე მარჯვანიშვილის ჩანა-
ფიქრით, რიჩარდის ჭეშმარიტი სახე და ზრახვები
უნდა გამოვევთოლიყო არა თავიდან, მის პირვე-
ლივე მონოლოგში, როგორც ეს შექსპირობანა,
არამედ სცენური მოქმედების განვითარების მიხე-
დვით – თანდათანობით, თანამდიდევრულად და,
რაც მთავრია, რიჩარდის პიესის სხვა გმირე-
ბითან ურთიერთობასა და დაპირისპირებაში. მო-
მავალი სპექტაკლის კომპოზიტორის თამარ ვახვა-
ხიშვილის მოწმობით მარჯვანიშვილი რიჩარდს ნინ

უფერებდა ძლიერ მონინააღმდეგებს. მათზე გამარჯვება კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდიდა რიჩარდის ინტელექტუალურ სიძლიერეს. ასეთ მონინააღმდეგებთან ბრძოლა უფრო დაძაბულს გახდიდა სასახლის კარზე ატეხილ პაერიბას და რიჩარდის პიროვნულ თვისებებს განსაზუროებულ მიშვენელობასა და ფასს დაადებდა. კ. მარჯანიშვილისათვის აქ მთავარი იყო გამოეცვეთა ადამიანის ძალაუფლებისაც ლოტოლვის თემა, ერვენბინა ამ „სწორულების“ დამანგრეველი ძალა როგორც თავად პიროვნებისათვის, ასევე ქვეყნისა და ხალხისათვის.

რიჩარდი მისი „მონტაჟის“ პირველი სცენის დასახულიში არაფრით ჰგავდა ძალაუფლების მასით შესყრობილ მტარვალს. ერთობ „რესპექტა-ბელურადაც“ გამოიყენებოდა. ლედი ანას გამოჩენამდე იგი „მართავდა“ პერიოდ VI-ს თან გამოშვიდობების რიტუალს. ეს სკრენა თამაშებოდა არა ლონდონის ქუჩაში, არამედ ელესიაში, სადაც ქრისტე ღმერდი და რიჩარდი დამზურებული სახით მას დროდადრო ბანს აძლევდა.

კ. ყუშიტაშვილმაც ეს სცენა ქუჩიდან ეკლესიაში გადაიტანა. გამომშვიდობების რიტუალს მასთან ლორდ-მერი განაცემდა. ცენტრში გამოვეთლად ჩანდა მეფის კუბოს თეორი გადასაფარებელი, კუბოს გარშემო ხატოვანი ჯგუფი კარისკაცებისა მძიმე დუმილით უსმენდა მწუხარე საგალობრებლა... სცენის ორივე მთარეს მძიმე მაღალი სავარძლები იდგა... ცენტრალური ფარდა ნაპირისკენ იყო მინული, და მისი ვინრო ზოლებად შეკრული ორივე ნახევარი თითქოს ჩარჩოს უქმნიდა რამოდენიმე საფეხურით ამაღლებულ ბაქანს...“¹

როგორც კი ლედი ანა მარტინდ რჩქმოდა, რიჩარდი ნამსკა ჩრდილებით მოწყდებოდა ფარდას და მოულოდნელად მის ნინ ჩიდებოდა.

კ. მარჯანიშვილის „მონტაჟში“ მათი დიალოგი ამ სცენაში საკმაოდ შეკვეცილია: თავის გამა-

რჯვებაში დარწმუნებული რიჩარდი ანას კითხვაზე თუ ვინ არის მცვლელი, ყოველგვარი ნინასნარი ეშმაკობის გარეშე მიახლის: ეს მე ვარ (III 11)

კ. ყუშიტაშვილი კი ამ სცენას ხელუხლებელს ტოვებდა. რიჩარდი-გომიშვილი აქ თითქოს შეგნებულად წელავდა კიდეც ლედი ანასთან ამ კატა-თაგვობანას მსგავს თამაშს. სანამ მისი მსხვერპლი ხმას ამოილებდა, იგი ცენტრალურ ფარდას ხურავდა და ამით ლედი ანას თითქოს გზას ულობავდა — ხაფანგში ამწყვდევდა. თეატრმცოდნე კ. კომისარუებელის თქმით, იგი ამ სცენაში თითქოს რომელიდ გადაიქცეოდა, იმდენი სინრეველე და ვნება იყო მის სიტყვებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოულოდნელად, ვითომ თავი ალარ ემორჩილებაო, გამოუტყდებოდა რომ მცვლელია, და ეს მცვლელობა ჩაიდინა მხოლოდ და მხოლოდ მისი სიყარულის გამო². ლედი ანა სახეში რომ შეაფურთხებდა, ნამითაც არ იბნეოდა, ფურთხს ხელით მონმენდდა და ხელის გულს უფრო გაათკეცებული ვნებით ეაბორებოდა, მერე ისევ შეხედავდა და ჩიუმად ჩაიცინებდა, თითქოს საკუთარ თავს ეუბნებოდა — ხედავ თურმე რა შეიძლოა... „და ჩვენ გვესმოდა, ნერდა ამის შესახებ ნ. კრიმოვა, — ანას არ შეუძლია არ დაუკეროს, იგი ხმა არა მხოლოდ ნარმოუდგენელი ცინიკოსია, არამედ გენიალური მსახიობიც“... ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ გოძიაშვილის რიჩარდი თვითონაც აღფრთოვანებული იყო საკუთარი სასახიობო ნიჭით. თუნდაც რად ლირდა მისი თავმოწონე შეძაბილი ლედი ანას სცენიდან გასვლის შემდეგ: „უარშიყინია ქალთან ასე, ვისმე, როდესმე?“ ძნელია გამოხატო ადამიანის საკუთარი თავით აღტაცება ისეთი ოსტატობით, როგორც ამას ვასო გოძიაშვილი ახერხებდა.

(გაგრძელება იქნება)

¹ „Teatr“ 1957 № 9 გვ.28

² მაგ: ნიკო ურუშავე, რიჩარდ III კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში; — ლიტერატურილი გაზეთი, 1957 წ. №27; გ. ციცელიშვილი. მინუმეტტური სპექტაკლი, — კომუნისტი, 1957, 3 XI

³ დალი მუმლაქე, თანამედროვე ქართული რეჟისურა, თბილისი, 1973წ. გვ. 122

⁴ ე. გუგუშვილი, დ. ჯანელიძე, ერთ გვერდი გამოიყენება მარჯანიშვილის „საფეხურით ამაღლებულ ბაქანს...“

⁵ ვასო გოძიაშვილის არქივიდან (პუბლიკაცია მოამზადა გ. მეგრელიძემ), — თეატრალური მოამზე — 1989. №1, გვ. 87

⁶ „Teatr“ 1958, „6 გვ. 66

⁷ „Teatr“ გვ. 149-151

⁸ იქვე

⁹ ნიკო ურუშავე, „რიჩარდ III“ მარჯანიშვილის თეატრში, — „ლიტერატურული გაზეთი“, 1957 წ. №27

¹⁰ იხ. აგრეთვე, — თაბარ ვახვახიშვილი, კოტე მარჯანიშვილის ექტონ სპექტაკლი, ლიტერატურა და ხელოვნება, თბილისი, 1968წ. „რიჩარდ III-ის შესახებ — გვ. 154-182; პალლა ურუშავე, შექმნირი და ქართული თეატრი (რუსულ ენზე), გამომცემისას „ქართული თეატრი“, თბილისი, 1994წ. კ. მარჯანიშვილის „რიჩარდ III-ზე“ გვ. 3-25;

¹¹ კ. ყუშიტაშვილის „რიჩარდ III-ზე“ გვ. 25-31

¹² სპექტაკლის სცენოგრაფიის შესახებ იხ: გაიანე ალიბეგაშვილი „რიჩარდ III-ის მთატრული გაფორმება, ქართული შექსპირიანა, თბილისი 1964წ. გვ. 121-126

¹³ В. Комиссаржевский, — Вечерняя Москва, 1958, 31 марта